„დამტკიცებულია“
აჭარის ა.რ სოფლის მეურნეობის
მინისტრის
2025 წლის 6 თებერვლის №7
ბრძანებით

პროგრამის „0716 სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“ ღონისძიების „სასოფლო - სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა“ განხორციელების წესი

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1. **სამინისტრო** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

2. **მინისტრი** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი;

3. **პროგრამა** - 0716 სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა;

4. **ღონისძიება** - სასოფლო - სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა;

5. **საოჯახო მეურნეობა** - სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული საცხოვრებელი სახლის, სამეურნეო ნაგებობის, გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტების ან/და მოწყობილობების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის წარმოებას;

6. **შინამეურნეობა**[1] - იმ ადამიანთა ერთობლიობა, რომლებიც ერთ საცხოვრებელ ერთეულზე ცხოვრების საერთო წესებს ექვემდებარებიან და ერთმანეთთან საერთო ბიუჯეტით ან მისი ნაწილით არიან დაკავშირებული და ნათესაური ან/და არანათესაური ურთიერთობები აქვთ. შინამეურნეობა შეიძლება ერთი ადამიანისგანაც შედგებოდეს;

7. **სასოფლო - სამეურნეო გაერთიანება** - გაერთიანებები (გარდა სახელმწიფო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების, წევრობაზე დაფუძნებული და წილობრივი მონაწილეობით შექმნილი პირები), მათ შორის:

[1] საქართველოს კანონი ოფიციალური სტატისტიკის შესახებ;

7.1. **სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივ(ებ)ი** - საქართველოს კანონის „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ შესაბამისად სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე კერძო სამართლის იურიდიული პირი;

7.2. **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ(ებ)ი**, რომლის საქმიანობის მიზანია სოფლის მეურნეობის განვითარება;

7.3. **ამხანაგობა** - საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფიზიკურ პირთა ერთობლივი საქმიანობა.

8. **განმცხადებელი** - საქართველოს მოქალაქე (სრულწლოვანი - 18 წელს მიღწეული) ფიზიკური პირი და სასოფლო - სამეურნეო გაერთიანება;

9. **განაცხადი** - წერილობითი დოკუმენტები, რომელიც დეტალურად აღწერს განმცხადებლის საქმიანობის მიმდინარე მდგომარეობას, მიზნებს და ამ მიზნების მიღწევისთვის აუცილებელ ქმედებებს;

10. **განაცხადზე თანდართული დოკუმენტაცია** - პოტენციური ბენეფიციარის მიერ განაცხადზე ამ წესით განსაზღვრული თანდართული დოკუმენტები;

11. **პოტენციური ბენეფიციარი** - განმცხადებელი, რომელთანაც შესაძლებელია გაფორმდეს თანადაფინანსების ხელშეკრულება;

12. **ბენეფიციარი** - ფიზიკური პირი ან სასოფლო - სამეურნეო გაერთიანება, რომელთანაც გაფორმდა თანადაფინანსების ხელშეკრულება (ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2024 წლის პროგრამის "0716 სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა" ღონისძიების "სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა" ფარგლებში მრავალწლოვანი ხეხილოვანი კულტურების ბაღების მოწყობის კომპონენტში შერჩეული ბენეფიციარები, რომელთა თანადაფინანსება, აგროვადების გათვალისწინებით, 2024 წლის საბიუჯეტო თანხებიდან ვერ განხორციელდა);

13. **მიმწოდებელი**[2] - „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მეწარმე ფიზიკური ან/და იურიდიული პირ(ებ)ი, რომლებიც ახორციელებენ ღონისძიების ფარგლებში საქონლის ან/და მომსახურების მიწოდებას. პირი, ინვოისის გაწერის

[2] პირი, ინვოისის გაწერის პერიოდში, უნდა იყოს რეგისტრირებული ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

პერიოდში, უნდა იყოს რეგისტრირებული ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

14. **სანერგე მეურნეობები / იმპორტიორები** - მრავალწლიანი კულტურების გაშენების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში „დანერგე მომავალი“ ჩართული სანერგე მეურნეობები / იმპორტიორები, რომელთა შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ ვებ.გვერდზე - www.rda.gov.ge;

15. **ბენეფიციართა შესარჩევი კომისია** - ღონისძიების ფარგლებში მინისტრის ბრძანებით შექმნილი ბენეფიციართა შესარჩევი კომისია;

16. **სახელშეკრულებო ღირებულება** - ღონისძიების ფარგლებში განაცხადით გათვალისწინებული თანხის საერთო ჯამური ღირებულება საქართველოში მოქმედი გადასახადების ჩათვლით, რაც მოიცავს სამინისტროს თანადაფინანსებას და ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხას;

17. **თანადაფინანსების სამმხრივი ხელშეკრულება** - სამინისტროს, მიმწოდებელსა და ბენეფიციარს / ბენეფიციარის წარმომადგენელს შორის გაფორმებული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ღონისძიების „სასოფლო - სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში მხარეებს შორის უფლება - მოვალეობებს;

18. **თანადაფინანსება** - სამინისტროს მიერ ბენეფიციარის უსასყიდლო მიზნობრივი თანადაფინანსება (დახმარება), რომელიც არ წარმოადგენს გრანტების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ გრანტს და ექვემდებარება დაბეგვრას მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად;

19. **ბენეფიციარის თანამონაწილეობა** - ბენეფიციარის მიერ გასაწევი ფინანსური რესურსი, რომელიც ბენეფიციარის მიერ გამოიყენება თანადაფინანსების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მხოლოდ ღონისძიების მიზნებისთვის, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით და დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით;

20. **ბენეფიციარის შერჩევის კრიტერიუმები** - პირობები, რომელთა კონკურენტულ გარემოში შეფასების უკეთესი შედეგის საფუძველზე, განმცხადებელი შესაძლებელია გახდეს ბენეფიციარი;

21. **ცოცხალი ცხოველი** - ფრინველი, ფუტკარი, თევზი, ყველა სახის წყალ - ხმელეთის ძუძუმწოვარი ცხოველები, საინკუბაციო კვერცხი, განაყოფიერებული ქვირითი და სხვა;

22. **ვენახი** - მიწის ნაკვეთი ვაზის ნარგაობით;

23. **სპირტიანი სასმელი**[3] - ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმელი;

24. **საბრუნავი საშუალება** - ის მიმდინარე აქტივი, რომლის ფულად ქცევა შესაძლებელია ერთი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;

25. **ძირითადი საშუალება** – მატერიალური აქტივი, რომელსაც პირი იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების / მომსახურების გაწევისას, რომლის სასარგებლო გამოყენების ვადა ერთ წელზე მეტია;

26. **მცირეფასიანი სამეურნეო საქონელი -** საქონელი, რომლის შესყიდვის თანადაფინანსების თანხა **500.0 ლარზე** ნაკლებია;

27. **დასკვნა ფასთა ადეკვატურობაზე** - სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს ან სსიპ „აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ აკრედიტებული პირ(ებ)ის ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის მიერ გაცემული საექსპერტო/ აუდიტორული დასკვნა, განაცხადში წარმოდგენილი თანხების საქონლის/ მომსახურების საბაზრო ფასებთან შესაბამისობაზე, რომელშიც აღწერილია დასკვნის მომზადების მეთოდოლოგია და თან ერთვის დასკვნის მომზადებისთვის გამოყენებული ბაზრის კვლევა, ფოტომასალა, ინვოისები / ზედნადებები და სხვა;

28. **პროგრამის განხორციელების არეალი** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორია, გარდა ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი ტერიტორიისა, რომელიც განსაზღვრული იყო თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 05 აპრილის №64 განკარგულების მიღებამდე;

29. **განაცხადის შესწავლა** - სამინისტროს პროგრამების განხორციელების დეპარტამენტის განაცხადების განხილვისა და შეფასების განყოფილების მიერ განაცხადის შესაბამისობის დადგენა ამ წესის მოთხოვნებთან;

[3] საქართველოს კანონი ვაზისა და ღვინის შესახებ;

30. **მონიტორინგი ადგილზე გასვლით** - განაცხადში მითითებული ადგილმდებარეობის შესწავლა, დათვალიერების აქტის შედგენა;

31. **ერთგვაროვანი საქონელი** - საქონელი ერთი და იგივე დასახელებით, საწარმოო დანიშნულებით და ძირითადი ფიზიკური მახასიათებლებით (სიმძლავრე, წარმადობა, ელექტრო, მექანიკური). მარკას, მოდელს, მწარმოებელს და წარმოშობის ქვეყანას მნიშვნელობა არ ენიჭება;

32. **საქონლის შესყიდვის საბაზისო ფასის განსაზღვრა** - ერთგვაროვანი საქონლის შესყიდვის საბაზისო ფასი განისაზღვრება, ერთგვაროვან საქონელზე წარმოდგენილი ინვოისების მიხედვით უმცირესის ოდენობით (გარდა ამავე წესით განსაზღვრული საქონლისა (ნერგი, წვეთოვანი სარწყავი სისტემა, აგროქსოვილი, საყრდენი ბოძები), ხოლო არაერთგვაროვანი საქონლისთვის (იმ შემთხვევაში თუ, ერთი დასახელების, ერთი სიმძლავრისა და წარმადობის საქონელზე წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ინვოისი) სამინისტროს მოთხოვნით ფასთა ადეკვატურობაზე დასკვნის საფუძველზე. აღნიშნულ შემთხვევაში არ იქნება მხედველობაში მიღებული საქონლის მარკა, მწარმოებელი და წარმოშობის ქვეყანა;

33. **ბენეფიციარის/ პოტენციური ბენეფიციარის წარმომადგენელი** - არის ასევე პირი, რომელიც განაცხადზე თანდართული მიწის ნაკვეთის (პროექტის განხორციელების ადგილის) თანამესაკუთრეა.

მუხლი 2. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი აწესრიგებს სამინისტროს მიერ თანადაფინანსების პირობებს და პროცედურებს;

2. ღონისძიება განკუთვნილია სასოფლო - სამეურნეო გაერთიანებებისა და საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირებისათვის, რომელთაც სურთ სასოფლო - სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარება სასოფლო - სამეურნეო საქმიანობის მიმართულებით;

3. ღონისძიების ადმინისტრირებას (განაცხადების მიღება - დამუშავება, ბენეფიციართა შერჩევა, ხელშეკრულების გაფორმება - მართვა, თანადაფინანსება, მონიტორინგი) ახორციელებს სამინისტრო;

4. ღონისძიების დაფინანსების წყაროა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი.

მუხლი 3. ღონისძიების მიზანი, ამოცანები, პრიორიტეტები და პირობები

1. **ღონისძიების მიზანი** - სასოფლო - სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარების ხელშეწყობა;

2. **ღონისძიების ამოცანები:**

   2.1. საოჯახო მეურნეობების კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა;

   2.2. სასოფლო - სამეურნეო გაერთიანებების განვითარების ხელშეწყობა.

3. **ღონისძიების პრიორიტეტები:**

   3.1. სასოფლო - სამეურნეო საქმიანობის მხარდაჭერა;

   3.2. შემნახველ - გადამამუშავებელი საქმიანობის მხარდაჭერა;

   3.3. მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა;

   3.4. სასოფლო - სამეურნეო საქმიანობაში ინოვაციური იდეების მხარდაჭერა;

   3.5. სასოფლო - სამეურნეო საქმიანობაში ახალგაზრდების[4] მხარდაჭერა;

   3.6. სასოფლო - სამეურნეო საქმიანობაში შშმ პირთა მხარდაჭერა;

   3.7. სასოფლო - სამეურნეო საქმიანობაში ქალთა მხარდაჭერა;

   3.8. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების მხარდაჭერა;

   3.9. ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგიის მიმართულების მხარდაჭერა.

4. **ღონისძიების მიმართულებები:**

სამინისტროს თანადაფინანსების (სუბსიდირების) თანხა პროექტით / განაცხადით განსაზღვრულ ცალკეულ საქონელზე / მომსახურებაზე შეადგენს საქონლის შესყიდვის

[4] ღონისძიების მიზნებისათვის - პირი, რომლის ასაკი სამინისტროში განაცხადის წარდგენის მომენტისათვის 18-29 წელს შეადგენს;

საბაზისო ფასის **არაუმეტეს 70%-ს**. სამინისტროს თანადაფინანსების (სუბსიდირების) თანხა პროექტით / განაცხადით განსაზღვრულ ცალკეულ საქონელზე / მომსახურებაზე არ უნდა აღემატებოდეს ღონისძიების განხორციელების წინამდებარე წესის შესაბამისად განსაზღვრულ ზღვრულ ოდენობებს, როგორც ერთეულ პროექტზე, ასევე ერთეულ საქონელზე / მომსახურებაზე, გარდა მრავალწლიანი სასოფლო - სამეურნეო კულტურების ბაღების გაშენებისა (ნერგი, წვეთოვანი მორწყვის სისტემა, აგროქსოვილი და ა.შ.) და წინამდებარე წესის 4.4. პუნქტით გათვალისწინებული მცირეფასიანი სამეურნეო საქონლისა, შეადგენს - არანაკლებ 500.0 ლარს და არაუმეტეს 20,000.0 ლარს. ამასთან, თანადაფინანსების ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს ამ წესით დადგენილ ზღვრულ ოდენობებს, კერძოდ:

4.1. მემცენარეობა:

4.1.1. მემცენარეობის მიმართულებით ერთი პროექტის ფარგლებში დაფინანსდება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული, ბენეფიციარის საკუთრებაში/ თანასაკუთრებაში/ სარგებლობაში **0.1 ჰა-დან - 1.0 ჰა-მდე** (დასაშვებია ცვლილება **„-1%“**) სასოფლო - სამეურნეო მიწის ფართობზე არსებული ან/და ახალი სასოფლო - სამეურნეო ბაღის მოწყობისა და მოვლისთვის საჭირო წარმოების საშუალებების შესყიდვა, მათ შორის:

4.1.1.1. მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ნერგების შესყიდვა ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს სახელმწიფო პროგრამაში „დანერგე მომავალი“ ჩართული სანერგე მეურნეობებიდან ან მათი იმპორტირებით. ამასთან, აგროქსოვილის (მულჩიფირის / სამულჩე ქსოვილის), წვეთოვანი სარწყავი სისტემისა და ნერგის საყრდენი ბოძების რაოდენობისა და სამინისტროს მხრიდან თანადაფინანსების ზღვრული მაქსიმალური ოდენობა 0,1 ჰა-ზე განისაზღვრება ამ წესის დანართი №1-ით;

4.1.1.2. სიცხისა და სეტყვისგან დამცავი საშუალებების შესყიდვა.

4.2. მეცხოველეობა:

4.2.1. მეცხოველეობის მიმართულებით დაფინანსდება სასოფლო - სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების მიერ მეცხოველეობის მიმართულებით სასოფლო - სამეურნეო წარმოება-შენახვა-გადამუშავება--შეფუთვა-რეალიზაციისათვის საჭირო რაოდენობის, მოცულობისა და სიმძლავრის საწარმოო საშუალებები;

4.2.2. ერთეულ განაცხადზე / პროექტზე მეფუტკრეობის კომპონენტის ფარგლებში თანადაფინანსების ოდენობა, გარდა სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა, არ აღემატება **5,000.0 ლარს;**

4.2.3. რძის გადამამუშავებელი სეპარატორის თანადაფინანსების ოდენობა ერთეულ საქონელზე შეადგენს, **არაუმეტეს - 280.0 ლარს**.

4.3. სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიური და ტექნიკური საშუალებები:

4.3.1. პროდუქციის წარმოება - შენახვა - გადამუშავება - შეფუთვა - რეალიზაციისათვის საჭირო მანქანა - დანადგარების შესყიდვა - მოწყობა, კერძოდ:

4.3.1.1. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესყიდვა შემდეგი პირობებით:

4.3.1.1.1. საოჯახო მეურნეობისთვის - ნიადაგდამამუშავებელი, სათიბი და შესაწამლი ტექნიკური საშუალებების კომპონენტში განმცხადებელს საკუთრებაში ან/და სარგებლობაში უნდა გააჩნდეს არანაკლებ **0,25 ჰა** (დასაშვებია ცვლილება **„-1%“**) სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანადაფინანსების თანხა, ერთეულ საქონელზე შეადგენს საქონლის შესყიდვის საბაზისო ფასის **70%-ს**, მაგრამ **არანაკლებ 500.0 ლარს** და **არაუმეტეს 1,200.0 ლარს;**

4.3.1.1.2. სასოფლო - სამეურნეო გაერთიანებისათვის (პუნქტი 4.3.1.1. მიზნებისთვის სასოფლო - სამეურნეო გაერთიანებას წარმოადგენს სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივი და ამხანაგობა, რომლებიც აერთიანებენ **არანაკლებ 5 წევრს**) - განმცხადებელს საკუთრებაში ან/და სარგებლობაში უნდა გააჩნდეს ერთი ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში **- არანაკლებ 1,5 ჰა** (დასაშვებია ცვლილება **„-1%“**) სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ი;

4.3.1.1.3. განმცხადებელს, განაცხადის წარმოდგენის ეტაპზე თხილის სარჩევის, საკრეფისა და სატეხი დანადგარის მიმართულებით განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში უნდა გააჩნდეს **არანაკლებ 0,5 ჰა** (დასაშვებია ცვლილება **„-1%“**) სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ი, სადაც გაშენებულია თხილის ბაღი.

4.3.1.2. **სახლის ღვინისა და სპირტიანი სასმელების** წარმოებისათვის საჭირო ინვენტარისა და დანადგარების შესყიდვა - მოწყობა . განმცხადებელს საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის **არანაკლებ 0.1 ჰა** ფართობზე გაშენებული უნდა ჰქონდეს ვენახი. ამასთან, ერთეულ განაცხადზე / პროექტზე თანადაფინანსების ოდენობა შეადგენს **არანაკლებ 500.0 ლარს** და **არ აღემატება 5,000.0 ლარს**;

4.3.1.3. სამაცივრე დანადგარების შესყიდვა-მოწყობა;

4.3.1.4. კლიმატის შემქმნელი ენერგომატარებლების შესყიდვა - მოწყობა (ენერგიის ალტერნატიული წყაროების დანერგვა: ბიოგაზი, მზის პანელები და სხვა);

4.4. საოჯახო მეურნეობისათვის - მცირეფასიანი საქონლის (თანადაფინანსების თანხის ოდენობა ერთეულ საქონელზე და განაცხადზე **ნაკლებია 500.0 ლარზე**), კერძოდ: სათიბი (საცელი აპარატი), შესაწამლი აპარატი, ჯაჭვური ხერხი და ყურძნის საწური ტექნიკური საშუალებების შესყიდვის შემთხვევაში, განმცხადებელს საკუთრებაში ან/და სარგებლობაში უნდა გააჩნდეს **არანაკლებ 0,10 ჰა** (დასაშვებია **ცვლილება „-1%“**) სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ი, სადაც სამინისტროს თანადაფინანსების თანხა ერთეულ საქონელზე და განაცხადზე შეადგენს საქონლის შესყიდვის საბაზისო ფასის **70%-ს**, მაგრამ **500.0 ლარზე** ნაკლებს;

4.5. განმცხადებელს უფლება აქვს ღონისძიების ფარგლებში ამ წესის 4.1; 4.2; 4.3 და 4.4 პუნქტით გათვალისწინებული მიმართულებებზე ამ წესით განსაზღვრული ფორმით (დანართი №2) და თანდართული დოკუმენტებით (დანართი №3) წარმოადგინოს არაუმეტეს ერთი განაცხადი და თანადაფინანსება მოითხოვოს აღნიშნულიდან მხოლოდ ერთი მიმართულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვაზე;

4.6. ღონისძიების ფარგლებში 4.3.1.1.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საოჯახო მეურნეობისათვის დაფინანსდება მხოლოდ **ერთი სახეობის** და **ერთი ერთეული** სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ხოლო 4.3.1.1.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებისთვის დასაშვებია, ასევე მისაბმელი აგრეგატების (გარდა სატრანსპორტო მისაბმელისა) შესყიდვის თანადაფინანსება.

5. განაცხადების წარდგენის ვადები

ღონისძიების ფარგლებში განაცხადების წარდგენის ვადებს განსაზღვრავს ბენეფიციართა შესარჩევი კომისია.

6. ღონისძიების ფარგლებში დასაფინანსებელი მიმართულებების ბიუჯეტი

ღონისძიების ფარგლებში გათვალისწინებული ბიუჯეტიდან შესაძლებელია ცალკეული მიმართულებების მიხედვით დასაფინანსებელი თანხის ოდენობის განსაზღვრა, რომელსაც ადგენს ბენეფიციართა შესარჩევი კომისია.

7. ღონისძიების ფარგლებში მონაწილეობა:

7.1. საქართველოს მოქალაქე (სრულწლოვანი - 18 წელს მიღწეული) ფიზიკური პირ(ებ)ი და სასოფლო - სამეურნეო გაერთიანებ(ებ)ა;

7.2. ღონისძიებაში ჩართვის მსურველ სასოფლო - სამეურნეო გაერთიანებებს ან/და სასოფლო - სამეურნეო გაერთიანების სუბიექტებს და საოჯახო მეურნეობებს საკუთრებაში ან/და თანასაკუთრებაში ან/და სარგებლობაში უნდა გააჩნდეთ სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთ(ებ)ი. ამასთან, სარგებლობის შემთხვევაში, სარგებლობის დარჩენილი ვადა, განაცხადის წარდგენის დღის მდგომარეობით უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10 წელს.

8. ღონისძიების ფარგლებში ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები

ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი განაცხადი ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა. ღონისძიების მიმართულებებთან შესაბამისობა;

ბ. განაცხადში არსებული იდეის დასაბუთებულობა;

გ. ინოვაციურობა;

დ. მდგრადობა;

ე. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება;

ვ. ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგიის მიმართულების მხარდაჭერა;

ზ. ბიომეურნეობა (ორგანული, ეკოლოგიური) სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის წარმოება, გადამუშავება და რეალიზაცია;

თ. შემნახველ - გადამამუშავებელი საქმიანობის მხარდაჭერა;

ი. ახალგაზრდა განმცხადებელი;

კ. ქალი განმცხადებელი;

ლ. შშმ პირი განმცხადებელი;

მ. გამართული სამოქმედო გეგმა;

ნ. ბიუჯეტის დასაბუთება;

ო. თანადაფინანსების დასაბუთება;

პ. განმახორციელებლის კომპეტენცია, გამოცდილება და მოტივაცია;

ჟ. განაცხადის ტექნიკური გამართულობა;

რ. სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებები;

ს. შესაძლო რისკების ანალიზი, მათი მინიმიზაციისა და მართვის ღონისძიებები;

ტ. გეოგრაფიული არეალი.

9. შეზღუდვები:

9.1. ღონისძიების ფარგლებში მონაწილეობის მიღების ***უფლება არ აქვს***:

9.1.1. 18 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეებს;

9.1.2. უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და უცხო ქვეყნის იურიდიულ პირებს;

9.1.3. მოქალაქეობის არმქონე პირებს;

9.1.4. პოლიტიკურ პარტიებს;

9.1.5. რელიგიურ ორგანიზაციებს;

9.1.6. საბანკო - საფინანსო ინსტიტუტებს (ბანკი; მიკროსაფინანსო, ლომბარდი და ა.შ.);

9.1.7. იურიდიულ პირებს, გარდა ამ წესით გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა;

9.1.8. იურიდიული პირს, რომელშიც პირდაპირ ან ირიბად სახელმწიფო ან/და ავტონომიური რესპუბლიკა ან/და მუნიციპალიტეტი ფლობს წილს, პაის და ა.შ.

9.2. ღონისძიების ბენეფიციარი არ შეიძლება იყოს პირი ან/და პირის ოჯახის (შინამეურნეობა) წევრი, რომელიც ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"-ს 2020-2022 წწ. პროგრამის „სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა" ან/და სამინისტროს 2023-2025 წწ. პროგრამის „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა" ღონისძიების „სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა" ბენეფიციარს წარმოადგენს;

9.3. განმცხადებლის მიერ ღონისძიების ფარგლებში ერთზე მეტი განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში განიხილება და შერჩევა-შეფასების პროცედურებს დაექვემდებარება მხოლოდ თარიღის მიხედვით სამინისტროში პირველად შემოსული განაცხადი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ განმცხადებელი შემდგომი განაცხად(ებ)ით არ ითხოვს წინა განაცხად(ებ)ის განუხილველად დატოვებას;

9.4. განაცხადის მიზნებისთვის გათვალისწინებულ ქონებაზე, **ყადაღა** არ უნდა იყოს რეგისტრირებული;

9.5. ღონისძიების ფარგლებში თანადაფინანსება ***არ განხორციელდება***:

9.5.1. უძრავი ქონების (მიწა, შენობა-ნაგებობები), კონსტრუქციების, სამშენებლო მასალების, სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე (გარდა მანქანა - დანადგარების შესყიდვა - მოწყობა);

9.5.2. საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე;

9.5.3. საწარმოში წილის შესყიდვაზე;

9.5.4. კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების დაფარვაზე;

9.5.5. სხვა საოპერაციო ხარჯების დაფარვაზე (კომუნალური მომსახურება, ნედლეულის შეძენა, შრომის ანაზღაურება, კრედიტის პროცენტი, მარკეტინგი, რეკლამა, გამოკვლევა, სალიზინგო და სარემონტო, წარმომადგენლობითი ხარჯები და ა.შ.);

9.5.6. საბრუნავი საშუალებების შესყიდვაზე, გარდა მრავალწლიანი სასოფლო - სამეურნეო კულტურების ბაღების კომპონენტით გათვალისწინებული საქონლისა (ყველა სახის ნედლეული, სასაქონლო მატერიალური მარაგები, ზოოვეტერინარული მედიკამენტები, ჩითილი, თესლი, ბოლქვი, ტუბერი, მინერალური და ორგანული სასუქები, მცენარეთა დაცვის საშუალებები და ა.შ.);

9.5.7. შესაღობი მასალის (ბოძები, მავთული, ეკალ - მავთული, მავთულის ბადე, ელექტროღობე და ა.შ.) შესყიდვაზე და ღობის მოწყობაზე;

9.5.8. ხარჯებზე, რომელიც არ შეესაბამება განაცხადის მიზნებსა და ამოცანებს;

9.5.9. სხვა ნებისმიერ ხარჯებზე, რომელიც ვერ დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით (ელექტრონული სასაქონლო ზედნადები, საბანკო ანგარიშსწორების შემთხვევაში - საგადასახადო დავალება და ა.შ.);

9.5.10. ცოცხალი ცხოველის შესყიდვაზე;

9.5.11. სასათბურე მეურნეობის მოწყობა, განახლება, აღჭურვა;

9.5.12. ავტოსატრანსპორტო საშუალებასა და სატრანსპორტო მისაბმელის შესყიდვაზე;

9.5.13. სამინისტროს პროგრამების ფარგლებში 2019 წლიდან დაფინანსებულ ანალოგიური სახეობის საქონლის (გარდა რძის გადამამუშავებელი სეპარატორის), ხოლო 2023 წლიდან დაფინანსებულ რძის გადამამუშავებელი სეპარატორის შესყიდვაზე.

10. ღონისძიების განხორციელების **ეტაპები:**

10.1. ღონისძიების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირება-კონსულტირება;

10.2. განაცხადების მიღება;

10.3. განაცხადების ბაზების ფორმირება;

10.4. განაცხადების შესწავლა - შეფასება;

10.5. ბენეფიციართა შერჩევა;

10.6. თანადაფინანსების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტების მომზადება;

10.7. ხელშეკრულების გაფორმება;

10.8. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება;

10.9. ბენეფიციართა ტექნიკური მხარდაჭერა (ექსტენცია);

10.10. ღონისძიების შედეგებზე პერიოდული მონიტორინგი;

10.11. ღონისძიების შედეგებზე ანგარიშ(ებ)ის მომზადება წარდგენა.

11. განაცხადების მიღება

თანადაფინანსების მიღების მიზნით, დაინტერესებული პირები განაცხადებს ავსებენ დადგენილი ფორმის შესაბამისად და ამავე წესით განსაზღვრულ თანდართულ დოკუმენტებთან ერთად წარადგენენ სამინისტროში.

ცალკეული განაცხადის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია სამინისტროს მიერ მოხდეს დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნა. დოკუმენტაციის წარმოდგენა შესაძლებელია განხორციელდეს განაცხადის დამუშავების სხვადასხვა ეტაპზეც.

განაცხადების რეესტრის წარმოებას უზრუნველყოფს პროგრამების განხორციელების დეპარტამენტი.

12. განაცხადის პირველადი შეფასება

განაცხადების შესაბამისობას ამავე წესის მოთხოვნებთან და პროექტის განხორციელების ადგილზე მონიტორინგის უფლებამოსილებას, განახორციელებს პროგრამების განხორციელების დეპარტამენტში და პროგრამის ფარგლებში ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული პირ(ებ)ი. კონკრეტული პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაციას მინისტრს წარუდგენს პროგრამების განხორციელების დეპარტამენტი.

13. განაცხადების შესაბამისობა წესის მოთხოვნებთან

განაცხადი, წესით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და კრიტერიუმებთან შეუსაბამობის შემთხვევაში შერჩევა - შეფასების შემდგომ ეტაპზე განხილვას არ ექვემდებარება.

14. მონიტორინგი პროექტის განხორციელების ადგილზე

14.1. პროექტის განხორციელების ადგილზე მონიტორინგი ხორციელდება ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, რაც ფორმდება შესაბამისი სხდომის ოქმით;

14.2. უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ განაცხადით განსაზღვრულ საქმიანობის ადგილზე განხორციელებული მონიტორინგის საფუძველზე, დგინდება განაცხადში ასახული ინფორმაციის შესაბამისობა და დადგენილი ფორმის *(დანართი №4)* მიხედვით ენიჭება შეფასების ქულა *(დანართი №4.1.)*.

15. ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის ფორმირება

ა. ღონისძიების ბენეფიციართა შერჩევას განახორციელებს ბენეფიციართა შესარჩევი კომისია. კომისიის მიერ შერჩეულ ბენეფიციართა შესახებ ინფორმაცია წარედგინება მინისტრს;

ბ. კომისიის შემადგენლობას, სამინისტროს ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს პროგრამების განხორციელების დეპარტამენტი;

გ. კომისიის სხდომებს ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, მისი არ ყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

დ. კომისიის გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი;

ე. კომისიის საპროცედურო საკითხებს მართავს კომისიის მდივანი;

ვ. კომისიის წევრის განსხვავებული აზრი ფიქსირდება სხდომის ოქმში;

ზ. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება, კომისიის სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრების ხმათა უმრავლესობით, ღია კენჭისყრის პრინციპის დაცვით. კენჭისყრის დროს ხმათა თანაბარი გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კომისიის სხდომის თავმჯდომარის ხმას;

თ. კომისიის სრული დოკუმენტაცია შერჩევის დასრულებისა და შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ, გადაეცემა პროგრამების განხორციელების დეპარტამენტს.

16. ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის მიერ განაცხადების განხილვა

ბენეფიციართა შესარჩევი კომისია წარმოდგენილი განაცხადების, თანდართული დოკუმენტების, ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის გადაწყვეტილებით განხორციელებული ადგილზე მონიტორინგის შედეგების, ამავე წესით განსაზღვრული კრიტერიუმებისა და ახდენს პოტენციურ ბენეფიციართა ერთიანი სიის ფორმირებას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით (ურთიერთდამოკიდებული პირები) განსაზღვრულ ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში კომისიის წევრი ვალდებულია დაუყოვნებლივ განაცხადოს აღნიშნულის თაობაზე. შესაბამისად, კომისიის წევრს საკითხის განხილვაში მონაწილეობა უწყდება.

ბენეფიციართა შესარჩევი კომისია უფლებამოსილია სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში მოხსნას განაცხადი განხილვიდან.

ბენეფიციართა შესარჩევი კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარი მაინც. კვორუმის არარსებობის შემთხვევაში სხდომა ინიშნება სხვა დროს.

ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის წევრები ვალდებულნი არიან დაიცვან კონფიდენციალურობა.

გადაწყვეტილების მიღება - მოიცავს კომისიის წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებისა და მონიტორინგის შედეგად მიღებული ქულათა ჯამის მიხედვით პოტენციურ ბენეფიციართა ერთიანი სიის ფორმირებას.

ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის მიერ სიის ფორმირებაზე გადაწყვეტილების მიღების დროს, განაცხადთა შეფასების თანაბარი ქულების მიღების შემთხვევაში რიგითობას კომისია განსაზღვრას ცალკეულ განაცხადებთან მიმართებაში კენჭისყრის გზით, ხმათა უმრავლესობით.

პოტენციურ ბენეფიციართა შერჩევას განახორციელებს ბენეფიციართა შესარჩევი კომისია.

17. პოტენციურ ბენეფიციართა ერთიანი სიის გასაჩივრება

ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

18. ხელშეკრულებების გაფორმება

თითოეულ პოტენციურ ბენეფიციარს/ პოტენციური ბენეფიციარის წარმომადგენელს, მიმწოდებელსა და სამინისტროს შორის ფორმდება თანადაფინანსების სამმხრივი ხელშეკრულება.

ხელშეკრულებების გაფორმების ადმინისტრირებასა და შესაბამისი რეესტრის წარმოებას ახორციელებს პროგრამების განხორციელების დეპარტამენტი.

განმცხადებლის/ პოტენციური ბენეფიციარის/ ბენეფიციარის მიერ ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმა (შესაძლებელია როგორც წერილობითი განცხადებით, ასევე სატელეფონო შეტყობინებით ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რაც აღირიცხება დეპარტამენტის მიერ წარმოებულ შესაბამის რეესტრში) იწვევს განმცხადებელთან პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობის შეწყვეტას.

ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე, განაცხადით განსაზღვრული თანადაფინანსების მოცულობის ზრდა დაუშვებელია.

ბენეფიციარი ვალდებულია ღონისძიების ფარგლებში მიღებული საქონელი/ მომსახურება გამოიყენოს მხოლოდ ღონისძიების მიზნობრიობით. აღნიშნული პირობის დარღვევის შემთხვევაში, განიხილება ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი. ამასთან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდში მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება სამინისტროს არ წარმოეშობა.

ბენეფიციარი ვალდებულია, პროექტის განხორციელების პროცესში, ხელი შეუწყოს სამინისტროს უფლებამოსილ პირს პროექტის განხორციელების მიმდინარეობაზე მონიტორინგის/ კონტროლის პროცესში და მიაწოდოს სრული ინფორმაცია. აღნიშნული პირობის დარღვევის შემთხვევაში, განიხილება ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი. ამასთან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდში მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება სამინისტროს არ წარმოეშობა.

პროექტის ეტაპებით განსაზღვრული ვალდებულებების დროული შეუსრულებლობით საბიუჯეტო წელს გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში თანადაფინანსების (სუბსიდია) პროცედურების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, შესაბამისი განხილვისა და დასაბუთების საფუძველზე, შესაძლებელია მიღებულ იქნეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი გადაწყვეტილება:

1. ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების გზით ვალდებულებათა შესრულების ვადების კორექტირება;

2. ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების გზით ვალდებულებათა შესრულების ვადების კორექტირება და თანადაფინანსების პროცედურების გათვალისწინება მომდევნო წლის შესაბამისი ღონისძიებით გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში (შესაბამისი ღონისძიების არსებობის შემთხვევაში);

3. შესაბამისი შეთანხმების გაფორმების გზით, კომერციული ბანკის მიერ გაცემული საანგარიშსწორებო თანხის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის (საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 1 თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას) საფუძველზე საავანსო ანგარიშსწორების თაობაზე;

4. ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი (პროექტის დასრულების შესაძლებლობის დაბალი სანდოობის ან სანდოობის არ არსებობის შემთხვევაში). ამასთან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდში მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება სამინისტროს არ წარმოეშობა.

მიმწოდებელთან ღონისძიებით გათვალისწინებული თანადაფინანსების ფარგლებში უნაღდო ანგარიშსწორება განხორციელდება პროექტის/ კომპონენტის სრულად განხორციელების შემდგომ, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში. იმ შემთხვევაში თუ პროექტი მოიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომელთა სიცოცხლის უნარიანობა ურთიერთდამოუკიდებელია, მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს დასრულებული კომპონენტების შესაბამისად.

პროექტის განხორციელების პროცესში ბენეფიციარის მხრიდან პროექტის გაგრძელებაზე უარის თქმის შემთხვევაში, განიხილება ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი. ამასთან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდში მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება სამინისტროს არ წარმოეშობა.

პროექტის განხორციელების პროცესში, ფაქტობრივი გარემოებების ცვლილების შედეგად, ბენეფიციარის მიერ ვალდებულებათა შესრულების შეუძლებლობის (რესურსებზე ხელმისაწვდომობის არ არსებობა/შეზღუდვა) შემთხვევაში, განიხილება ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი. ამასთან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდში მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება სამინისტროს არ წარმოეშობა.

ბენეფიციარის შრომისუუნარობის ან გარდაცვალების შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე გადავა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებამოსილ პირ(ებ)ზე მისი თანხმობის შემთხვევაში, ხოლო უარის შემთხვევაში განიხილება ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი. ამასთან ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდში მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება სამინისტროს არ წარმოეშობა.

პროექტის განხორციელების ეტაპზე, შესასყიდი საქონლის/ მომსახურების ფასების ზრდის შემთხვევაში, სამინისტროს არ წარმოეშობა თანადაფინანსების თანხის გაზრდის ვალდებულება.

პროექტის განხორციელების ეტაპზე მიმწოდებლის მიერ მისაწოდებელი/ მიწოდებული საქონლის/ მომსახურების ფასის შემცირების შემთხვევაში, ღონისძიების ფარგლებში გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხა შემცირდება ფაქტობრივი ღირებულების შესაბამისად.

19. თანადაფინანსების სამმხრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს, პროგრამების განხორციელების დეპარტამენტში და ღონისძიების ფარგლებში ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული პირ(ებ)ი. კონკრეტული პირ(ებ)ის განსაზღვრის შესახებ ინფორმაციას მინისტრს წარუდგენს პროგრამების განხორციელების დეპარტამენტი.

20. საქონლის/ მომსახურების მიწოდება

მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის/ მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

21. მიღება - ჩაბარება და ანგარიშსწორება

ანგარიშსწორება თანადაფინანსების მიზნით განხორციელდება ბენეფიციარისა/ ბენეფიციარის წარმომადგენლის და მიმწოდებლის მიერ თანადაფინანსების სამმხრივი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებაზე, სამინისტროს უფლებამოსილი პირ(ებ)ის, მიმწოდებლისა და ბენეფიციარის მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაციას მინისტრს წარუდგენს პროგრამების განხორციელების დეპარტამენტი.

ღონისძიების განხორციელების მიზნით, პირველ რიგში გამოიყენება ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხა, ხოლო შემდეგ ღონისძიებით გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხა.

ანგარიშსწორება თანადაფინანსების მიზნით განხორციელდება ხელშეკრულებით განსაზღვრულ მიმწოდებელთან.

22. ანგარიშგება

პროგრამების განხორციელების დეპარტამენტი, ღონისძიების შედეგებზე ანგარიშს წარუდგენს სამინისტროს ხელმძღვანელობას. ანგარიში მოიცავს ღონისძიების ფარგლებში გაწეული საქმიანობის შედეგების შესახებ ინფორმაციას.

23. ღონისძიების ბენეფიციართა ტექნიკური მხარდაჭერა (ექსტენცია)

ღონისძიების ბენეფიციარებისა და განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე, აგრარული განვითარების დეპარტამენტი გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, უზრუნველყოფს ბენეფიციართა ექსტენციას საჭირო ცოდნისა და ინფორმაციის მიწოდების გზით, რაზედაც ამზადებს შესაბამის ანგარიშებს.

24. ღონისძიების შედეგებზე პერიოდული მონიტორინგი

ღონისძიების ფარგლებში განხორციელებული პროექტების მონიტორინგს, შედეგების შეფასებას და პროცესების გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას განახორციელებს მონიტორინგისა და შეფასების დეპარტამენტი.